სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080129495326822

№ 861 14 / მარტი / 2022 წ.

უცხოური საწარმოს ფილიალის „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT210006698;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 14 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 14 დეკემბრის № 56-562134823 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 9819), რომლითაც სააგენტოს ეცნობა უცხოური საწარმოს ფილიალის „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) მიერ NAT210006698 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 22 ივნისის №79 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის sportcompleks25@mail.ru მეშვეობით, 2021 წლის 24 დეკემბრის №4437 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2021 წლის 30 დეკემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2021 წლის 30 დეკემბრის განმარტება (რეგისტრაციის № 10497) 2021 წლის 22 ივნისის № 79 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და, შესაბამისად, მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დადგენისათვის უცხოური საწარმოს ფილიალის „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 14 თებერვლის № 535 განკარგულებით ერთი თვით გაგრძელდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე

დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

1.5. მიმწოდებელმა, 2022 წლის 14 თებერვალს, სააგენტოს 2022 წლის 10 თებერვლის № 472 წერილის პასუხად სააგენტოში წარმოადგინა 2022 წლის 14 თებერვლის № 56-562204526 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 1385) უცხოური საწარმოს ფილიალის „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) მიერ 2021 წლის 22 ივნისის №79 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2021 წლის 22 ივნისის № 79 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლების „კოვიდ 19“-ით ინფიცირების თარიღი იყო 2021 წლის 18 და 28 ოქტომბერი, რა პერიოდისთვისაც სამუშაოები უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო. ამასთან, მიმწოდებლის წერილში მითითებული იყო 19 დღიანი უამინდობა სხვადასხვა თვეების განმავლობაში, რაც ვერ გახდებოდა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების საფუძველი. გარდა ამისა, მიმწოდებელს 2021 წლის 30 დეკემბრის განმარტებაში მითითებული ქვეკონტრაქტორის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წერილობით არ მიუმართავს და აქედან გამომდინარე არ მიუღია მისგან წერილობითი თანხმობა 2021 წლის 21 ივლისს გაფორმებული № 79 ხელშეკრულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (რომლის თანახმადაც მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე).

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ გაფრთხილება მისცა კომპანიას ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ არსებობდა ფორსმაჟორული მდგომაროება, კერძოდ, სამუშაოთა მწარმოებლები დაინფიცირდნენ ვირუსით – „covid-19“ და აღნიშნულიდან გამომდინარე დროებით შეფერხდა მიმდინარე სამუშაოები. ამასთან, პროექტის მენეჯერი, რომელიც უშუალოდ იყო სამუშაოების მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი, აგრეთვე დაინფიცირდა ზემოაღნიშნული ვირუსით და შემდგომ გარდაიცვალა. აღნიშნული პირი იყო ქვეკონტრაქტორი და იგი ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს. შესაბამისად, მისი გარდაცვალების გამო შეფერხდა მიმდინარე სამუშაოები. შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ასევე წარდგენილ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლიმატური პირობების გაუარესების გამო (გადაუღებელი წვიმა) შეუძლებელი იყო სამუშაოების განხორციელება და მიმწოდებელმა ითხოვა ხელშეკრულების შესრულების ვადის ერთი თვით გაგრძელება (2021 წლის 28 დეკემბრამდე). თუმცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პოზიცია არ დაუფიქსირებია. ამასთან, მტკიცებულებები მერიაში მიმწოდებლის მიერ არაერთხელ იქნა წარდგენილი. მიმწოდებელი განმარტავს, რომ მან 2021 წლის 7 დეკემბერს მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა შესრულებული სამუშაოების შუალედური აქტის (ფორმა № 2-ის) გაფორმება, თუმცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 10 დეკემბრის № 56-562134466 წერილით კომპანიას ეცნობა, რომ ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2021 წლის 21 ნოემბერს, რის გამოც შუალედური აქტის გაფორმება ვერ მოხდებოდა. მიმწოდებელმა ასევე განმარტა, რომ იგი აპირებდა სარჩელის შეტანას შემსყიდველი ორგანიზაციის წინააღმდეგ და ასევე, სააგენტოში განჩინების წარმოდგენას რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა გადაწყვეტილების მიღების უფლება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 22 ივნისს, NAT210006698 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ და უცხოური საწარმოს ფილიალმა „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) გააფორმეს № 79 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, მისი გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში, 2021 წლის 20 ოქტომბრისთვის. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 728 931 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 21 ნოემბერი.

4.2. საქმეში არსებული შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ საზედამხედველო მომსახურების 2021 წლის 10 დეკემბრის №21/11 ანგარიშით დგინდება, რომ მიმწოდებელს ზედამხედველობის საანგარიშო პერიოდში ობიექტზე შესრულებული ჰქონდა სამუშაოების მოცულობის დაახლოებით 6,58%.

4.3. მიმწოდებელმა 2021 წლის 22 ოქტომბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოს შემსრულებელი პირი გარდაიცვალა ვირუსით – „covid-19“. ამასთან, სამუშაოს შესრულების პერიოდში ხშირი იყო უამინდობა და უხვი ნალექი, რის გამოც შეფერხდა სამუშაოები. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ უგზავნიდა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემულ ცნობას და მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის შესრულების გაგრძელება 2021 წლის 22 დეკემბრამდე.

4.4. საქმეში არსებული სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 27 ოქტომბრის №12/1-1253 წერილის თანახმად, ქალაქ სიღნაღში ნალექი აღინიშნებოდა 2021 წლის 10 და 11 აგვისტოს, 5,8,9,14,17,23,24,25,29,30 სექტემბერსა და 1,2,4,5,6,7,8 ოქტომბერს.

4.5. საქმეში არსებული ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2021 წლის 10 ნოემბრის № 316, № 317 და № 318 ცნობების თანახმად, კომპანიის თანამშრომლებმა (შემსყიდველ ორგანიზაციას სადაოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ინფიცირებული პირები წარმოადგენდნენ მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლებს) ვირუსით – „covid-19“ დაინფიცირების გამო გაიარეს იზოლაცია შემდეგ საკარანტინე ვადებში – 18.10.2021-2.11.2021 და 28.10.2021 – 11.11.2021.

4.6. მიმწოდებელმა 2021 წლის 11 ნოემბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ კომპანიის თანამშრომლები დაინფიცირდნენ ვირუსით, რის გამოც, დროებით შეფერხდა მიმდინარე სამუშაოები. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ უგზავნიდა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემულ ცნობას და მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის შესრულების გაგრძელება 2021 წლის 28 დეკემბრამდე.

4.7. საქმეში არსებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის ხელმძღვანელის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის 2021 წლის 13 დეკემბრის № 03-562134752 მოხსენებითი ბარათის თანახმად, 2021 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით ობიექტზე შესრულებული სამუშაოების მოცულობა იყო დაახლოებით 6,58 %, რაც შეადგენდა 47 963,66 ლარს, ნაცვლად კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული 728 931 ლარისა. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შედეგად ვადაგადაცილებული დღეების ოდენობა შეადგენდა 138 კალენდარულ დღეს (2021 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის პოზიციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება გამოიწვია კომპანიის თანამშრომლების ვირუსით – „covid-19“ დაინფიცირებამ და ასევე პროექტის მენეჯერის, რომელიც უშუალოდ იყო სამუშაოების მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი, ზემოაღნიშნული ვირუსით გარდაცვალებამ. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ იზიარებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამატებით ინფორმაციაში მითითებულ პოზიციას, რომლის თანახმადაც მიმწოდებლის მიერ დასახელებული აღნიშნული გარემოება ვერ იქნებოდა ხელშეკრულების გაგრძელების საფუძველი, რამდენადაც მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლების „კოვიდ 19“-ით ინფიცირების თარიღი იყო 2021 წლის 18 და 28 ოქტომბერი, რა პერიოდისთვისაც სამუშაოები უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო კლიმატური

პირობების გაუარესების გამო (გადაუღებელი წვიმა), და მიმწოდებელმა ითხოვა ხელშეკრულების შესრულების ვადის ერთი თვით გაგრძელება (2021 წლის 28 დეკემბრამდე), თუმცა ამაოდ. სააგენტო განმარტავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მიმწოდებლის წერილში მითითებული იყო 19 დღიანი უამინდობა სხვადასხვა თვეების განმავლობაში, რაც ვერ გახდებოდა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების საფუძველი. გარდა ამისა, საგულისხმოა, შემსყიდველი ორგანიზაციის მითითება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მიმწოდებელს 2021 წლის 30 დეკემბრის განმარტებაში მითითებული ქვეკონტრაქტორის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წერილობით არ მიუმართავს და აქედან გამომდინარე არ მიუღია მისგან წერილობითი თანხმობა 2021 წლის 21 ივლისს გაფორმებული № 79 ხელშეკრულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (რომლის თანახმადაც მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე). ამასთან, სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებელს სააგენტოში არ წარმოუდგენია განჩინება, რომლითაც აღნიშნულ საქმეზე სააგენტოს შეეზღუდებოდა გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) 2021 წლის 21 დეკემბერს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT200007787 ელექტრონულ ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 22 ივლისის № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8^2 პუნქტის თანახმად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი არის უცხოური საწარმო/მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა), შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება ძირითადი საწარმოსა და გადაწყვეტილების მიღების დროისთვის საქართველოში რეგისტრირებული, ასევე პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის ან გაფრთხილების პერიოდში დარეგისტრირებული მისი ყველა მუდმივი დაწესებულების/ფილიალის (წარმომადგენლობის) მიმართ შავ სიაში რეგისტრაციის ან გაფრთხილების დარჩენილი პერიოდით.

7.8. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა). შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტის გათვალისწინებით, უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-8^2 პუნქტებით და დაადგინა:

1. უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) 2022 წლის 15 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ძირითადი საწარმო და გადაწყვეტილების მიღების დროისთვის საქართველოში რეგისტრირებული მისი ყველა მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა) 2022 წლის 15 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

3. მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის პერიოდში ძირითადი საწარმოს მიერ დარეგისტრირებული ყველა მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა) დარეგისტრირდეს შავ სიაში დარჩენილი პერიოდით.

4. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე